

For the Re-understanding of the Kimenic Issue
კიმენის საკითხის ხელახალი გააზრებისთვის

Eka Chikvaidze, Nana Mrevlishvili
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
(Tbilisi, Georgia)

ეკა ჩიკვაიძე, ნანა მრევლიშვილი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(თბილისი, საქართველო)

Abstract:

The beginning of Georgian writing is rightly connected with ecclesiastical writing. Its important and valuable flow is created by the hagiographic literature, about which a thorough assessment was made in the scientific circles at the very beginning of the philological research, which deals with genre identification, typology, stylistic features, frameworks, etc. of hagiography. Nevertheless, Georgian hagiographic material is rarely found in international studies, this rich and diversified literature is little reflected in medieval scholarly works. It is conceivable that in addition to the historical context, we should also look for the reason in the specificity of the terminology. According to K. Kekelidze, hagiography is divided into Kimenic and metaphrasical writings. Often this division leads to misunderstanding, as similar terminological divisions can not be found in hagiographic studies. By classical and admitted definition, Kimen is a term used in exegetical writing to refer to a specific explanatory text in any Bible book. Byzantine commentators used to call Kimen the text and thus separated it from their own commentaries. According to K. Kekelidze's observations and the opinion shared among Georgian scholars, this term later acquired a new meaning, first in Georgian ecclesiastical figures, and then – in hagiographic writing – it referred to the initially described and unadulterated life – martyrdoms. Therefore, the texts referred as Kimen in Georgian literature relate to hagiography before metaphor. Here, however, the difference is naturally noticeable: the former is characterized by simple style and composition, story and structure, while in the latter these markers are subtle and more complex. It is necessary to reconsider what we mean by the term Kimen.

What corresponds to them in international studies; What are their chronological frameworks, which original Georgian texts do we consider as monuments of Kimenic hagiography and which translated texts should we attribute to it.

Keywords: Hagiographic Literature, Kimenic and Metaphrasical Writings, Hagiographic Terminology

საკვანძო სიტყვები: ჰაგიოგრაფია, კიმენური და მეტაფიზიკური მწერლობა, ჰაგიოგრაფიული ტერმინოლოგია

დღეს ძალიან აქტუალურია საკითხი ღია მეცნიერების შესახებ. უადრესად მდიდარი ძველი ქართული ლიტერატურისა და მასთან დაკავშირებული კვლევების საზღვრებს გარეთ გატანას და ადეკვატურ გაგებას უსათუოდ სჭირდება ამ სფეროში არსებული ტერმინოლოგიური აპარატის, მიდგომებისა და ტენდენციების უნიფიცირება, გაზიარება და სათანადოდ დამკვიდრება ქართულ მეცნიერებაში.

საკითხის სათანადოდ აღსაქმელად აუცილებელია ქართულ მეცნიერებაში, აგიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი ფუნდამენტური ტერმინის განმარტება. სწორედ ამ ტერმინთა რიგშია კიმენიც (სვინაქსარი, მრავალთავი). კლასიკური და აღიარებული განმარტებით, კიმენი ეგზეგეტიკური მწერლობის ტერმინია, რომელიც აღნიშნავდა ნებისმიერი ბიბლიური წიგნის კონკრეტულ განსამარტავ ტექსტს, სხვა განმარტებით, კიმენი არის ბიბლიურ-კანონიკური ტექსტი განმარტება-კომენტარების გარეშე. ბიბლიის ბიზანტიელი ეგზეგეტ-კომენტატორები კიმენს უწოდებდნენ ტექსტს და ამით მიჯნავდნენ მას საკუთარი კომენტარებისაგან. ეს ტერმინი სწორედ აღნიშნული კონოტაციით გვხვდება ბიზანტიოლოგიის შემსწავლელ მკვლევართა შორის (მაგ. სტეფანოს ევფიმიადისი: ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ქრისტეან ჰოგელი: სვიმეონ მეტაფრასი). თუმცა ძველ ქართველ ღვთისმეტყველებთან და მათზე დაფუძნებით ქართულ სამეცნიერო აპარატში კიმენმა შეიძინა ახალი დატვირთვა, რაც განსხვავდება საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სისტემაში დამკვიდ-

რებული მნიშვნელობისგან. კ. კეკელიძის დაკვირვებით და ქართველ მეცნიერთა შორის გაზიარებული მოსაზრებით, ამ ტერმინმა მოგვიანებით შეიძინა ახალი მნიშვნელობა ჯერ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა, ხოლო შემდეგ – აგიოგრაფიული მწერლობის მკვლევართა შორის: ტერმინ კიმენს დაუკავშირდა ახალი შინაარსი (ძველ, განსამარტავ ტექსტთან ერთად) – თავდაპირველად აღწერილი და გადაუკეთებელი ცხოვრება-მარტვილობები. ეფრემ მცირის განმარტებით, რომელიც მან წმინდა მინას ცხოვრებას დაურთო, კიმენი ეწოდება „პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა“ (თავდაპირველად აღწერილ მოწამეთა ცხოვრების შემცველ მარტივ ტექსტებს), ანდა, მისივე სიტყვებით, „ძუელი იგი მოწამეთად, რომელსა კიმენ უწოდებდნენ, ესე იგი არს მდებარე“ (კეკელიძე, 1918, გვ. 22). მაშასადამე, კიმენად იწოდებოდა ძველი მარტვილობა-ცხოვრების ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტავი ტექსტი. კ. კეკელიძისავე დაკვირვებით, იოანე ქსიფილინოსი (XI ს.) კიმენს აიგივებს ძველ მარტვილოლოგიურ თხზულებათა კრებულთან – მრავალთავევთან, ამიტომაც თავად კეკელიძე კიმენ-მრავალთავებადაც მოიხსენიებს პირველ ლიტონ თხზულებებს, რომელთა ქართულ თარგმანებსაც გვთავაზობს კრებულში კიმენი. ზემოხსენებული განმარტების კვალობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ აგიოგრაფიაში ძირითადად გამოკვეთენ აგიოგრაფიული ლიტერატურის განვითარების 2 ძირითად ეტაპს: 1. მე-9 საუკუნემდე და 2. მე-10-იდან შემდგომ, რაც უკავშირდება ახალ მოვლენას – გამეტაფრასებას. ზოგადად, თავად ავთენტურ და ორიგინალურ ტერმინში, ცხადია, საორჭოფო არაფერია, თუმცა ამ ტერმინს, კიმენს, აგიოგრაფიასთან მიმართებით უცხო-ელ მკვლევართათვის ყოველთვის სჭირდება დაზუსტება-განმარტება. კიმენურ ლიტერატურას აგიოგრაფიასთან არ აკავშირებს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, სადაც ამ ტერმინს მხოლოდ ეგზეგეტიკურ კონტექსტს აკუთვნებენ (სტეფანოს ეფემიადისი, დასახელებული ნაშრომი). ტერმინი კიმენი ქმედითი არ არის არც სომხური აგიოგრაფიისთვის. რაც განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია თუნდაც „შუშანიკის წამების“ ცნობილი კონტექსტის ფონზე.

ამგვარად, ვაწყდებით შემდეგ პრობლემებს: 1. განსხვავებულია საერთაშორისო ბიზანტიოლოგიურ სამეცნიერო აპარატში გამოყენებული ტერმინი კიმენი და ქართული სამეცნიერო და ისტორიული განმარტება ამავე ტერმინისა. აქედან გამომდინარე, დასადგენია 2. როგორ მოიხსენიება საერთაშორისო კვლევებში ტექსტები, რომლებიც

ქართული აგიოგრაფიისთვის მისადაგებული ტერმინი კიმენით ერთიანდება, 3. რა ცნებით შინაარსს ვდებთ ტერმინ კიმენში დღეს, 4. და ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის რომელ ტექსტებს მოვიაზრებთ ამ ტერმინის ქვეშ. 5. ამგვარ ტექსტთა გამოკვეთის შემდეგ კი მნიშვნელოვანი იქნება სათანადო, ადეკვატური პერიოდის ბიზანტიურ აგიოგრაფიასთან ქართული ტექსტების ტიპოლოგიური შედარება; 6. მხოლოდ ამ რიგის დაკვირვებების შედეგად დაზუსტდება კიმენთან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი ვარაუდი, მათ შორის – ე. გაბიძაშვილის მოსაზრება ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომ „ქართული აგიოგრაფია ერთადერთია, რომელსაც მეტაფრასულ რედაქციათა პარალელურად არ შეუწყვეტია კიმენურ ტექსტთა გამოყენება“ (გაბიძაშვილი, 1965, გვ. 12).

როგორც აღინიშნა, ქართულ მეცნიერებაში ტექსტები, რომლებსაც ქართულ ლიტერატურაში კიმენით მოიხსენიებენ, აგიოგრაფიასთან მიმართებით გულისხმობს გადამეტაფრასებამდელ აგიოგრაფიას. თუმცა გამეტაფრასულებამდე აგიოგრაფიული თხზულებები ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი არ არის. ბიზანტიურ აგიოგრაფიულ ლიტერატურასთან მიმართებით მიუთითებენ მე-5 საუკუნემდელ, მე-5–მე-7 და მე-7–მე-9 საუკუნეების აგიოგრაფიას (ეფვიმიადისი, 2011). უმრავლეს შემთხვევაში ადრეულ მარტვილთა ღვაწლი აღიწერებოდა შემთხვევითი პირებისაგან და აღიწერებოდა იმიტომ, რომ მოწამეთა სახელი არ დაკარგულიყო ისტორიაში, მათი მხნეობა მომავალ თაობებს ნიმუშად გადასცემოდათ და ასეთ დროს, რა თქმა უნდა, მისაღები იყო თუნდაც ყველაზე პრიმიტიული აღწერილობა, მარტივი როგორც ფორმით, ისე ლექსიკურად. ამიტომაც ადრეული პერიოდის ძირითადად ბერძნულენოვან საეკლესიო აგიოგრაფიაში მრავლად ვპოულობთ ნიმუშებს, დაწერილთ ძალიან მარტივი, ზოგ შემთხვევაში – ლიტერატურულად დაუხვეწელი და ღვთისმეტყველურად, კერძოდ, ტერმინოლოგიურად, ძალიან გაუმართავი ტექსტების სახით. აგიოგრაფიული ლიტერატურის განვითარების ჩარჩოების თვალსაზრისით სტილური, სიუჟეტურ-კომპოზიციური, სტრუქტურული, თხრობის ხერხების ასპექტთა სხვაობა ბუნებრივად ხდება წყალგამყოფი. ამავე დროს, მარტივი, ლიტონი სტილისა და კომპოზიციის, სიუჟეტისა და სტრუქტურის აგიოგრაფიული კორპუსი ქართულ ლიტერატურაში პირვანდელი სახით მხოლოდ თარგმანის მეშვეობით გვაქვს შემორჩენილი. ორიგინალურ ტექსტთაგან ხშირ შემთხვევაში რევიზირებულია ისიც, რაც უტყუარად მეათე საუკუნემდეღია (მაგა-

ლითად, შუშანიკის წამება). გარდა ჩამოთვლილი მახასიათებლებისა, ბიზანტიური აგიოგრაფიის განვითარების ეტაპების განმსაზღვრელი, სავარაუდოდ, პოლიტიკური და საეკლესიო-დოგმატური ცხოვრება უნდა გამხდარიყო. ამ თვალსაზრისით ბიზანტიური/ბერძნული აგიოგრაფიული ლიტერატურის პერიოდების იდენტურად გადმოტანა და ქართულთან მისადაგება, ცხადია, არ გამოადგება ქართულ აგიოგრაფიას, არც რევიზიის საჭიროებათა გათვალისწინების გამო. რადგან ჩვენმა ეკლესიამ არ იცის დევნილობის ხანის ორიგინალური ლიტერატურა და მარტვილები და არც თუნდაც ბიზანტიაში გავრცელებულ უმეტეს წვალებათა შედეგები (რაც ტექსტების რევიზირების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია). ბიზანტიურ სივრცეში ქართულთან შედარებით ეს პროცესები განუზომლად მძაფრი და რიცხოვრივად დიდი იყო. ჩვენთვის ყურადსაღები ამ ნიშნით მონოფიზიტობა და მასთან გამიჯვნაა, რაც მე-5-მე-6 საუკუნეთა პერიპეტიებს ეხება და რაც აისახა კიდევ ევსტათი მცხეთელის წამებაში.

ბიზანტიური აგიოგრაფიის განვითარების ეტაპებზე დაკვირვებამ მკვლევრები ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად მიიყვანა პერიოდიზაციის ლოგიკურ მიჯნებამდე. რადგან, ცხადია, სხვაგვარია პირველი ეტაპის ჩანაწერები (აქტები) და სხვაგვარი შედეგი მოგვცა ამ ჩანაწერების ჟანრობრივმა ტრანსფორმაციამ. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უადრესი ნიმუში აგიოგრაფიისა გახლავთ „მარტვილობა წმიდისა იუსტინესი და მისი მეგობრებისა“, რაც სწორედ აქტების სახითაა ჩაწერილი (ახალი ქართული თარგმანი ამ ძეგლისა გამოქვეყნებულია), ასეთივე სტრუქტურისაა ლათინურად დაწერილი „სკილიუმის მარტვილობები“ (დაახლ. 180), თვით მოციქულთა ღვაწლის ამსახველი მარტვილობანიც, რომლებიც საკუთრივ საეკლესიო ეპოქაში შეიქმნა. აგიოგრაფიის კუთვნილებაა, მაგალითად, „წამებაი წმიდისა პეტრე მოციქულისაი“, „წამებაი წმიდისა პავლე მოციქულისაი“, „იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ცხოვრება-მოქალაქეობის ელემენტი აქვს. მათი სტრუქტურა ლიტონი და მარტივია, ტექსტთა მოცულობა – მცირე, გამოკვეთილია ავტორ-მთხრობელი, ფაქტი აღწერილია მშრალად, ტექსტებში, ფაქტობრივად, არ გვხვდება რიტორიკული ფიგურები, თხრობა ცნობით-ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ბიოგრაფიული ელემენტი ნაკლებად გვაქვს მარტიროლოგიურ თხზულებებში, თუმცა მეტად გვხვდება მაგ. იოანეს ცხოვრებაში. II-III საუკუნეებიდან საეკლესიო აგიოგრაფია ძირითადად მარტიროლოგიური ხასიათისა გახლავთ,

ანუ არსებითად გამოკვეთილია მხოლოდ მარტვილობანი, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ესაა ჯერ კიდევ მოწამეობრივი ეპოქა საეკლესიო ლიტურატურისა. IV ს-ის დამდეგიდან ჯერ მილანის ედიქტით და შემდგომ კონსტანტინე დიდის ძალისხმევით ქრისტიანული მოძღვრება, ქრისტიანული აღმსარებლობა ხდება სახელმწიფო სარწმუნოება და ქრისტიანები აღარ იდევენებიან, აგიოგრაფიული ჟანრის ახალი სახეობაც მკვეთრად იჩენს თავს, ეს არის აგიოგრაფ გმირთა ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერილობანი. მეუდაბნოეობა ანუ განდეგილობა არსებითად თავს იჩენს სწორედ IV საუკუნიდან, ცხადია, ამგვარ მოღვაწეთა აღმწერი აგიოგრაფიული თხზულებანიც სწორედ აღნიშნულ ეტაპზე დაიწერებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოწამეობრივი აქტები გაცილებით უფრო მარტივია სტრუქტურულად და ლიტონი – ენით, მეოთხე საუკუნის თვისებრივად განსხვავებული ცხოვრება-მოქალაქობანიც მარტივია სტრუქტურულად, ენობრივად, თავისუფალია რიტორიკული ფიგურებისგან, რაც პავლე მოციქულის ცნობილი მიდგომის (ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის უგულვებელყოფის) შედეგაც უნდა იყოს.

როგორც კარგად არის ქართულ სამეცნიერო ლიტურატურაში ცნობილი, ჩამოყალიბება-განვითარების პირველ ეტაპზე თვითმხილველთა ნაამბობზე დაფუძნებული ლიტონად გადმოცემული კიმენური აგიოგრაფიული ლიტურატურა სახარებისა და ანტიკური ბიოგრაფიების კვალობაზე ყალიბდება. პრობლემა და სირთულე ის არის, რომ 1. ჩვენ არ/ან მწირად გვაქვს აღნიშნული ეტაპების *ხელუხლებელი* ორიგინალური ტექსტები (ამ თვალსაზრისით, შესაძლოა განცალკევებით იდგეს კოლაელ ყრმათა წამება) და, შესაბამისად, ვერ ვმსჯელობთ, როგორი უნდა ყოფილიყო ისინი (ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ შუმანიკის წამება, არამედ „წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“, რასაც იმოწმებს იაკობ ხუცესი). გამონაკლისი უნდა იყოს რამდენიმე ტექსტი, რომლებიც ეპოქალურად აგიოგრაფიის განვითარების არა მხოლოდ მეტაფრასამდელ, არამედ ქრონოლოგიურად ქრისტიანობის გავრცელების შედარებით ადრეულ ეტაპს ემთხვევა: კოლაელ ყრმათა, რაჟდენ პირველმოწამის, დავით და ტირიჭანის, ევსტათი მცხეთელის, არჩილ მეფის წამებები, წმინდა ნინოს ცხოვრების ძველი პლასტები. კიმენი 1-ში წარმოდგენილ ცხოვრება-წამებათა შედარებამ ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიასთან საგულისხმო დასკვნამდე მიგვიყვანა: თვით კრებულში განთავსებულ ტექსტებს შორის იმ ნიშანთა მიხედვით, რომლებსაც კიმენურ აგიოგრაფიას განუკუთვნებენ,

გვხვდება ტექსტები, რომლებიც სცდება ლიტონობას, გამშვენებულია, სტრუქტურულად დახვეწილი, კომპოზიციურად გაშლილი, ერთმანეთს რომ შევადაროთ ბასილი დიდისა და მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებანი, განსხვავება თვალსაჩინო იქნება სტრუქტურულ-კომპოზიციური, ნარატივული, სტილურ-სტილისტიკური, ენობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით. ასეთსავე სურათს ვხვდებით ქართულ აგიოგრაფიასთან მიმართებითაც. ეს კი ბადებს კითხვებს: 1. ხომ არ უნდა გავითვალისწინოთ ნათარგმნ აგიოგრაფიასთან დაკავშირებით იგივე მიდგომა განვითარების საფეხურებთან დაკავშირებით, როგორც მიღებულია ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში (ანუ ქრონოლოგიური პრინციპი). და 2. მართებულია თუ არა, რაგვარობის მიუხედავად, ყველა მეტაფრასამდელი ტექსტის კიმენად-ლიტონად-სოფლიური ერთ აღწერილად მოხსენიება?

X ს-ის მიწურულიდან, კერძოდ, 982 წლიდან სვიმეონ მეტაფრასტი იწყებს თავის მეტაფრასულ მოღვაწეობას. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს საეკლესიო ისტორიისთვის.

ახალი არ არის არც ის საკითხი, თუ რამ განაპირობა ამ ახალი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მიმართულების აღმოცენება. ცვლილება ეხება ლექსიკას, სტილს, თხზულებათა კომპოზიციურ, სიუჟეტურ, ნარატოლოგიურ განვითარებას. საკუთრივ აგიოგრაფიისა და არა უბრალოდ აქტებისა თუ ჩანაწერებისთვის მახასიათებელ თხრობის მანერას, ტიპოლოგიას, ამბის განვითარების გადმოცემას, მხატვრულ სახეთა ჩართვას, სახარებასა და ზოგადად ბიბლიაზე დაფუძნებულ სიმბოლურ-ალეგორიულ-იგავურ აზროვნებას. მოწამისა თუ ცხოვრების გმირის საფეხურებრივი ზეაღსვლის, ღმერთშემსგავსების წარმომჩენ ეპიზოდთა გამორჩევისა და შემდეგ მათი დალაგების, გადმოცემის, თხრობის პრინციპთა შემუშავებას, სისტემატიზებას. შესაბამისად, რაკი ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ქრისტიანულ დოქტრინათა კვალდაკვალ ყალიბდება და ვითარდება ქრისტიანული ლიტერატურა, ვითარდება ტერმინოლოგია, ლექსიკა, სახეობრივი სისტემა, რომელსაც ქრისტიანობა შეიწყნარებდა, მიიღებდა და გამოიყენებდა ცხოვრება-წამებათა ამსახველ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, შესაბამისად, აგიოგრაფიულ ტექსტთა რევიზიის აუცილებლობაც თანდათანობით გამოიკვეთა. ე.ი. ეს, ერთი მხრივ, განაპირობა ქრისტიანული ლიტერატურის, აგიოგრაფიის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესმა, მე-

ორე მხრივ, თვით ქრისტიანული მიდგომების ცვლამ (მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ფილოსოფიისა თუ რიტორიკული ფიგურების მიღებამ, რასაც თავდაპირველად უარყოფდა ქრისტიანობა), ხოლო მესამე მხრივ, ქრისტიანობის წიაღში თავჩენილმა არაერთმა წვალებამ, რასაც მსოფლიო-საეკლესიო კრებებზე გამოხდნენ და დოგმატური სარჩულით განამტკიცებდნენ, დაადგენდნენ ხოლმე წმინდა მამები. X ს-ის II ნახევრიდან ბიზანტიურ ეკლესიაში წარსულის მემკვიდრეობის სიტყვიერად გამშვენების, ღვთისმეტყველურად, ტერმინოლოგიურად გამართვის პროცესი დაიწყო. ცხადია, იგივე აისახა ქართულ რეალობაშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით სვიმეონ მეტაფრასის თხზულებათა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს ორთოდოქსული მართლმადიდებლური და კათოლიკური სამყარო. კათოლიკე მამათა თუ მკვლევართა ერთ ნაწილს გამშვენება-გარდაკაზმვისა და სტრუქტურულ-კომპოზიციური ცვლილებების გამო სვიმეონ მეტაფრასი ერთ-ერთ საეჭვო მოღვაწედ მიაჩნია და მეტაფრასამდელი თხზულებების სანდოობის მიხედვით განარჩევნა ორთოდოქსულ წიაღში აღიარებულ წმინდანთა ლეგიტიმურობასაც. ასევე ეჭვით უყურებენ, მაგალითად, წმინდა ბარბარეს ცხოვრების აღმწერ ტექსტს (ქრისტიან ჰოგელი, სვიმეონ მეტაფრასი).

ედ. ჭელიძე კიმენურ ტექსტთა საკითხთან დაკავშირებით შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს (2008, გვ. 32):

„**მეტაფრასტიკა** ესაა ადრეული ეპოქის აგიოგრაფიის სიტყვიერი, ტერმინოლოგიური, ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო გამართვა, გამშვენება, **ანუ, ფაქტობრივად, განმარტება, კომენტარი, ერთგვარი ეგზეგეტიკა**. რაკი ადრეულ აღწერილობებს ეწოდებოდათ და ეწოდებათ კიმენი, ხოლო სიტყვა კიმენი, ბერძნული ტერმინი „კეიმენონ“ ქართულად ნიშნავს მდებარეს, ეს საკითხავები კი დადებული იყო ტამარში ამა თუ იმ წმინდანის ხსენებისას საჯაროდ საკითხავად, ე.ი. კიმენტა საღვთისმეტყველო-ლიტერატურული გადამუშავება, ანუ საღვთისმეტყველო-ლიტერატურული განმარტება უნდა იყოს მეტაფრასტიკაც. მეტაფრასტი არ ცვლის არცერთ ფაქტობრივ მონაცემს, პირიქით, ფაქტობრივი მონაცემები, რაც ჩვენ კიმენმა შემოგვინახა, განსაზღვრავენ კიდევ უდიდესწილად ამ კიმენური ძეგლების შეუცვლელ და მარადიულ ღირსებას ეკლესიის ისტორიაში“.

ბოლო პერიოდის გამოკვლევებით, კოლაელ ყრმათა წამება მესამე-მეოთხე საუკუნეებს მიაკუთვნეს ბ. ჩოლოყაშვილმა და გ. კუჭუხიძემ, შუშანიკის წამებაში გვაქვს „წმიდანი წიგნნი მოწამეთანი“, წმინდა ნინოს ცხოვრებაში ჯერ კ. კეკელიძე, შემდეგ რ. სირაძე და სხვა მკვლევრები გამოყოფდნენ უძველეს პლასტებს, რომლებიც სწორედ კიმენური აგიოგრაფიის ნიმუშები უნდა ყოფილიყო. თუმცა დანადვილებით მაინც ვერ ვიტყვით, როგორი იყო ქრისტიანობის შემოსვლის თანადროული ქართული აგიოგრაფიული პროზა. რადგან მეათე საუკუნემდელი აგიოგრაფიული თხზულებები სწორედ მეათე საუკუნის ხელნაწერებით აღწევნ ჩვენამდე. მეათე საუკუნეში კი, ცნობილია, რომ ჩატარდა ე.წ. რევიზია ქართული ტექსტებისა, რაც წინარეპერიოდის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ბატალიების სირთულეებითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული და ქრისტიანული ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი სვლითაც (როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკურ-ტერმინოლოგიური, ჟანრობრივი, დოგმატური და სხვა ნიშნებით ეს იქნებოდა თვით კიმენური ლიტერატურის წიაღშიც მიმდინარე და თავჩენილი განვითარების პროცესი). კ. კეკელიძის მიხედვით, კიმენურ ტექსტთა უდიდესი ნაწილი ქართულ ენაზე თარგმანის სახით აღწევს. სავარაუდებელია, რომ მეტაფრასამდელი აგიოგრაფიის განვითარების დინამიკა მსგავსი, მაგრამ არა იდენტური იქნებოდა ბიზანტიური სივრცის კულტურული არეალისთვის დამახასიათებელი დინამიკისა. თუმცა ის, რაც ბერძნულენოვანი ლიტერატურისთვის პროცესია (მაგალითად აგიოგრაფიული ჟანრის ჩამოყალიბება), ჩვენთვის უკვე შედეგი იქნება (რადგან თარგმანის სახით უკვე შემუშავებული და ჩამოყალიბებული ტექსტი აღწევს ჩვენამდე). ეს ეხება აგიოგრაფიული ლიტერატურის არაერთ ვექტორს: თხრობის ტიპოლოგიას, მხატვრულ ხერხთა გამოყენების ველს, დოგმატურ საკითხებს, ტერმინოლოგიას და ა.შ. აქედან გამომდინარე, თვით მეტაფრასამდელი აგიოგრაფიული კანონი არ უნდა იყოს ერთგვარი და ერთგვაროვანი, რაც დასტურდება, ერთი მხრივ, კიმენი 1-ში განთავსებული ტექსტებით და, მეორე მხრივ, მეტაფრასამდელი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებითაც. შესაბამისად, უსათუოდ უნდა გამოვყოთ ე.წ. კიმენური აგიოგრაფიის განვითარების **სავარაუდო 3 ეტაპი**: ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანა. რადგან, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე-5 საუკუნემდელი აგიოგრაფიული ძეგლი მე-5--მე-7 საუკუნეების ძეგლთაგან, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად განსხვავებული უნდა იყოს, ხოლო მე-7 სკ.ის შემდგომი პე-

რიოდის ძეგლები კი – აგიოგრაფიულ ტექსტთა სტრუქტურის, სტილის, ნარატოროგიული ტიპოლოგიის, გმირის წარმოჩენის ასპექტებით – კიდევ უფრო დაშორებული მათგან. ამის მაგალითი ჩვენთვის უნდა იყოს, ერთი მხრივ, ვთქვათ, კოლაელ ყრმათა და, მეორე მხრივ, აბო თბილელის წამებები, ან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ამ ტექსტთა შორის განსხვავება ძალიან დიდია. სხვაობა ყველა ზემოხსენებულ აქცენტს მოიცავს: კომპოზიციას, თხრობის სტილს, თვით ფაქტების გადმოცემისა თუ დალაგების ტიპოლოგიას, სახეობრივ ან ტერმინოლოგიურ სისტემებს, საღვთისმეტყველო ცოდნას, სიმბოლურ და დოგმატურ ასპექტებს. შესაბამისად, რაკი პროცესები ამგვარად წარმართა, შეგვიძლია დავსვათ კითხვა: **ბოლოს და ბოლოს, რას ვუწოდებთ კიმენურ ტექსტებს?** თუკი კიმენს ვუწოდებთ მხოლოდ „მდებარე“, ხელუხლებელ, სოფლიურითა ენითა გადმოცემულ ტექსტებს, ანუ აქტებს, მაშინ ამ თვალსაზრისით ქართული კიმენური ტექსტები არ გვაქვს ან ჩვენამდე მოღწეული არ არის. თუკი კიმენია ის, რასაც გვთავაზობს კ. კეკელიძე კრებულში კიმენი 1, მაშინ აქაც საჭიროა დიფერენცირება და ეს უნდა შეეხოს არა მხოლოდ ტექსტის შედგენის დროს (ე.ი. დაეფუძნოს არა მხოლოდ ქრონოლოგიურ ჩარჩოს), ეპოქალურ მიჯნას, არამედ **ტექსტის მახასიათებლებს**, რადგან ერთგვარი ტერმინოლოგიით ესოდენ მსხვაობარი ტექსტების მოხსენიება უდავოდ მცდარი მიდგომა იქნება. აქედან გამომდინარე, დაისმის კითხვა: კიმენური ტექსტებია თუ არა „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“... რადგან გვიანი რედაქციებით მოაღწია ჩვენამდე და არ ვიცით, როგორი იქნებოდა თითოეული მათგანი პირვანდელი სახით, რას, როგორი ტიპის ტექსტებს უნდა განვაკუთვნოთ ისინი? ამავე დროს, რადგან მეტაფრასტიკა მხოლოდ მეათე საუკუნის ბოლოს იჩენს თავს, ცხადია, მათ ვერ ჩავთვლით გამეტაფრასების შედეგად მიღებულ ტექსტებად თვით აღნიშნული რევიზიის ფარგლებშიც. და, ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ კიმენის განმარტებას ლიტონი თხრობის შესახებ, ცხადია, უმართებულოა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების, აბოსა და შუშანიკის წამებების კიმენურ ტექსტებად ჩათვლა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტაფრასამდელ პერიოდშია შემნილი და ვერც გამეტაფრასების ეტაპს ემთხვევა. იმიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, ტექსტთა შედარების შედეგად გამოვყოთ გამეტაფრასებამდე ტექსტების სტილური და ტექსტობრივი თავისებურებები, დავყოთ განვითარების ლოგიკურ პერიოდებად და შესაძლო საერთო სამუშაო ტერმინად **პრემეტაფრასული** გამოვიყენოთ, რაც უკეთ ასახავს იმ რეალობას, რომელსაც

ეს ტექსტები გვიჩვენებს; ხოლო რაკილა ტერმინი კიმენი აგიოგრაფი-ასთან მიმართებით უშუალოდ ლიტონ და მდებარე, გარდაუკაზმავ ტექსტადაა განმარტებული, კვლევის შედეგად დადგინდეს, რომელი კონკრეტული ტექსტები უნდა მოვიაზროთ ამ ტერმინის ქვეშ. ამ ეტაპზე კი ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ კიმენად უნდა მოვიხსენიოთ კოლაელ ყრმათა, რაჟდენ პირველმოწამის, დავით და ტირიჭანის წამებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბიძაშვილი, ე. (1965). ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი. თბილისი: „მეცნიერება“.
- კეკელიძე, კ. (1918). კიმენ-I, ტფილისი: საქართველოს რკინიგზის სადგურის გამომცემლობა.
- კეკელიძე, კ. (1957). ეფრემ მცირის მოსახსენებელი მცირე სვიმეონისატვის ლოლოთეტისა, ეტიუდები, V. თბილისი: ACAD.
- ჩოლოყაშვილი, ბ. (2003). უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზუ-ლება. თბილისი: ჩოლოყაშვილის სახლი.
- ჭელიძე, ე. (2008). ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თბილისი: „ახალი ივირონი“.
- Efthymiadis, St. (2011). Byzantine Hagiography, vol. 1. Periods and Places. Farnham, Burlington: Ashgate eds..
- Hogel, Ch. (2002). Symeon Metaphrastes: Rewriting and Canonization. Copenhagen: Museum Tusulanum Press.

References:

- Efthymiadis, St. (2011). Byzantine Hagiography, vol. 1. Periods and Places. Farnham, Burlington: Ashgate eds., 2011.
- Ch'elidze, E. (2008). Dzveli kartuli saek'lesio lit'erat'ura. [Ancient Georgian church literature]. Tbilisi: Publishing house Akhali Ivironi, 2008.
- Choloq'ashvili, B. (2003). Udzvelesi kartuli mart'irologiuri tkhzuleba [Ancient Georgian martyrological work]. Tbilisi: Cholokashvili house, 2003.
- Gabidzashvili, E. (1965). Dzveli kartuli mts'erlobis otkhi dzepli. [Four monuments of ancient Georgian writing]. Tbilisi: „metsniereba“.
- Hogel, Ch. (2002). Symeon Metaphrastes: Rewriting and Canonization. Copenhagen: Museum Tusulanum Press.
- K'ek'elidze, K'. (1918). K'imeni-I, [Kimeni-I]. T'pilis: Georgian railway station publishing house, 1918.
- K'ek'elidze, K'. (1957). Eprem mtsiris mosakhsenebeli mtsire svimeoniatvis logho-tet'isa. [John Xifilin, successor of Simeon Metaphrastus. Etiudes, V]. Tbilisi: ACAD.